ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG



რა უნდა ვიცოდეთ

ტყავის

და ტყავისგან დამზადებული პროდუქტების წარმოებისთვის

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პალიტრა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების უზრუნველყოფა. ერთ-ერთი პროდუქტი, რომელიც საფრთხის შემცველად იქნა მიჩნეული, არის ტყავის გამოყენებით დამზადებული პროდუქცია. სწორედ ასეთ პროდუქციასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს აწესებს ასოცირების შესახებ შეთანხმების 29-ე დანართით განსაზღვრული ევროკომისიის გადაწყვეტილება 2009/251/EC – ბიოციდის დიმეთილის შემცველი პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა ტყავისა და ტყავისაგან დამზადებული პროდუქტების შესახებ

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ გააჩნია კანონმდებლობა აღნიშნულ სფეროში, თუ არ ჩავთვლით ზოგადი ხასიათის ნორმებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“. კოდექსის მე-3 თავი განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებისათვის, სწორედ ეს მოთხოვნები ვრცელდება ტყავისა და ტყავისაგან დამზადებულ პროდუქტებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს, ამ პროდუქტების მწარმოებლები არ არიან შეზღუდულები პროდუქტის ბაზარზე განთავსების დროს იფიქრონ რაიმე კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან/და სერტიფიკატის მიღებაზე.

ტყავის და ტყავისაგან დამზადებული პროდუქტების მიმართ მოთხოვნები ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შემდგომ

როგორც აღინიშნა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, კერძოდ კი, მისი 29-ე თავი – მომხმარებელთა პოლიტიკა განსაზღვრავს გარკვეულ ევროპულ რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადებს.

რეგულაციებიდან ერთ-ერთი არის ევროკომისიის გადაწყვეტილება 2009/251/EC – ბიოციდის დიმეთილის შემცველი პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე დაუშვებლობის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც საქართველოს ვალდებულება, ქონდა ასოცირების შეთანხმების DCFTA-ს ნაწილის ძალაში შესვლიდან 1 წელიწადში ასოცირების კომიტეტისათვის ეცნობებინა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაახლოების ვადები.

2015 წელს ასოცირების კომიტეტს მიეწოდა ინფორმაცია, რომ საქართველო აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაუახლოებს საკუთარ კანონმდებლობას DCFTA-ს ძალაში შესვლიდან 8 წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებასთან დაახლოების ვალდებულება საქართველოს მთავრობას აქვს მაქსიმუმ 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

ევროკომისიის გადაწყვეტილება 2009/251/EC – ბიოციდის დიმეთილის შემცველი პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე დაუშვებლობის შესახებ

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში წინამდებარე გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ევროკავშირის ბაზარზე აღმოჩენილი ავეჯი და ფეხსაცმელი, რომელიც შეიცავდა ბიოციდის დიმეთილს. კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბიოციდის დიმეთილი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, როდესაც ავეჯთან ან ფეხსაცმელთან შეხებისას ნივთიერება გადადის ადამიანის კანზე.

როგორც აღინიშნა, ბიოციდის დიმეთილის გამოყენება ძირითადად ხდება ისეთი ავეჯისა და ფეხსაცმლის წარმოებაში, რომლებიც შეიცავენ ტყავს, თუმცა იგი შეიძლება შეგვხვდეს სხვა ტყავის პროდუქტებშიც, იმის გათვალისწინებით, რომ ბიოციდის დიმეთილი იცავს ტყავს ობის მოკიდებისაგან და ასევე, უნარჩუნებს ფორმას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საფრანგეთს, ესპანეთსა და ბელგიას აქვს დამატებითი რეგულაციები ბიოციდის დიმეთილის შემცველ პროდუქტებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს, რომ ასეთი ნივთიერების შემცველი პროდუქტები მიჩნეულია სერიოზული რისკის შემცველად.

რაც შეეხება უშუალოდ ევროკომისიის გადაწყვეტილებას, იგი მიღებულია 2009 წლის 17 მარტს და ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე კრძალავს ნებისმიერი პროდუქტის დაშვებას, რომელიც შეიცავს ბიოციდის დიმეთილის 0,1 მილიგრამს 1 კილოგრამ ტყავზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბიოციდის დიმეთილის შემცველობა ძირითადად გამოვლინდა ტყავის ავეჯსა და ფეხსაცმელში, წინამდებარე გადაწყვეტილების მიხედვით, მისი გამოყენება აკრძალულია ყველა იმ პროდუქტში, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისათვის. გადაწყვეტილება არ ეხება ანტიკვარულ ნივთებს და ისეთ ნივთებს, რომელიც განკუთვნილია სამუზეუმო გამოყენებისათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა მოახდენს წინამდებარე გადაწყვეტილებასთან კანონმდებლობის დაახლოებას, პროდუქტი, რომელსაც მოიცავს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ და მასში აღმოჩნდება ბიოციდის დიმეთილი 0,1 მილიგრამზე მეტი 1 კილოგრამში, ვეღარ განთავსდება საქართველოს ბაზარზე.

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (ეc) no 1069/2009 ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე და მათგან ადამიანის არასასურსათო მოხმარებისთვის ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს.

ზემოაღნიშნული რეგულაცია აწესებს მოთხოვნებს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისადმი, მათ შორის, დაუმუშავებელი ტყავის და ტყავეულის ნედლეულის მიმართ. რეგულაციის თანახმად, იმისათვის, რომ ტყავი ევროკავშირის ბაზარზე დაიშვას, ადამიანის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის დირექტორატმა ის საწარმოები უნდა აღიაროს, სადაც საექსპორტო ნედლე-

ულის (დაუმუშავებელი ტყავის) შეგროვება და შენახვა ხდება. ამისათვის საჭიროა ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების გამგზავნი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ (სურსათის ეროვნული სააგენტო) ევროკომისიას მიმართოს აღიარების თხოვნით. მოთხოვნის შემდგომ ევროკომისიის შესაბამისი წარმომადგენელი ჩადის ზემოაღნიშნული პროდუქტის ექსპორტზე გატანის მსურველ ქვეყანაში და ამოწმებს, ამ ქვეყნის ჰიგიენის სტანდარტის ნორმები არის თუ არა ევროკავშირში არსებული ნორმების ექვივალენტური. აღიარების მიღების შემთხვევაში, ექსპორტიორი ქვეყნის სურსათის ეროვნული სააგენტო კონტროლის საფუძველზე ადგენს იმ საწარმოების სიას, რომლებსაც ევროკავშირში ამა თუ იმ ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გატანა შეუძლიათ. ეს სია ქვეყნდება ევროკომისიის ოფიციალურ ჟურნალში.

ამჟამად, საქართველოდან ევროკავშირში საექსპორტოდ ნებადართულია დაუმუშავებელი ტყავის ექსპორტი.

მოთხოვნები დაუმუშავებელი ტყავის ექსპორტისთვის:

- საწარმო აღიარებული უნდა იყოს ადამიანის ჯამრთელობისა და უფლებების დაცვის დირექტორატის მიერ;
- ექსპორტიორმა სურსათის ეროვნული სააგენტოდან უნდა აიღოს ვეტერინარული სერთიფიკატი;
- ექსპორტიორმა სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტს წინასწარ უნდა შეატყობინოს (წინასწარი შეტყობინების სისტემის შესაბამისად) ევროკავშირში ტვირთის შესვლის შესახებ.

პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია „ათინათთან“ თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.

რა უნდა ვიცოდეთ **ტყავის და ტყავისგან დამზადებული პროდუქტების** წარმოებისთვის

სამოქალაქო საზოგადოება –
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდასაჭერად

DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85
ტელ: 032 220 73 05
ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge